ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პრაქტიკული კვლევა

ჯგუფური მუშაობის პრობლემები სკოლაში და მათი გაუმჯობესების გზები

ნინო მელიქიძე

ნატალია გზირიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდღულაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

სარჩევი

აბსტრაქტი---------- 3

პრაქტიკული კვლევა---------- 3

ნაშრომის სტრუქტურა---------- 5

ლიტერატურის მიმოხილვა---------- 6

პრობლემა და საკვლევი საკითხი---------- 11

პრობლემის შერჩევა---------- 13

მეთოდოლოგია---------- 16

კველვის გეგმა---------- 16

კვლევის ჯგუფის მუშაობა---------- 19

მონაცემთა ანალიზი---------- 23

კველვის მიგნებები---------- 27

ინტერვენცია---------- 29

შესაძლო ინტერვენციები---------- 29

განხორციელებული ცვლილებები---------- 31

რეკომენდაციები თბილისის 166-ე საჯარო სკოლის ადმინისტრაციას---------- 33

ინტერვენციის შეფასება---------- 35

დასკვნა---------- 37

გამოყენებული ლიტერატურა---------- 39

დანართები---------- 41

დანართი 1---------- 41

დანართი 2---------- 44

დანართი 3---------- 48

დანართი 4---------- 50

აბსტრაქტი

ბოლო 70 წლის განმავლობაში ინტენსიურად იკვლევენ გაკვეთილის ორგანიზების ფორმებსა და მათ გავლენას მოსწავლეთა ჩართულობაზე სწავლის პროცესში და მათ მიღწევებზე. დროთა განმავლობაში სწავლების ახალი მეთოდები ვრცელდება სკოლებზე და საგანმანათლებლო სისტემებში. ყველა მათგანს თავისი დატვირთვა და დანიშნულება აქვს სწავლების პროცესში. მასწავლებლისათვის აუცილებელია იცოდეს საკლასო ორგანიზაციის სხვადასხვა მოდელი და შეეძლოს მათი პრაქტიკაში გამოყენება. ძირითადად განიხილავენ მოსწავლეთა დაჯგუფების შემდეგ ვარიანტებს: საერთო საკლასო მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა და ჯგუფური მუშაობა. ჩვენი პრაქტიკული კველვა სწორედ ამ უკანასკნელს - ჯგუფურ მუშაობას და მისი შეფასების კრიტერიუმებს ეხება. ნაშრომში განხილულია პრობლემები, რომლებიც ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებით გამოიკვეთა და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისას შევეცადეთ გამოგვესწორებინა ეს პრობლემები.